

## საქართველოს კანონი

### საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984, №12, მუხ.421) 309-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირი პატიმრობაში იმყოფება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები – სამინისტროს მოსამსახურეთათვის სპეციალურად განკუთვნილ ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში. ხოლო ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ადგილებში. ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დადგენილების აღსრულებისას დაპატიმრებულებს პირადად გასინჯავენ.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი